ხელშეკრულება № 11 /02

ქ. ონი

26 თებერვალი 2015 წელი

ქ.ონის რაიონის მუნიციპალიტეტი, მდებარე ქ. ონი, დავით აღმაშენებლის ქ.№1 (შემდგომში "შემსყიდველი"), მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ი/მ ,,გივი ლობჯანიძე'' (შემდგომში "მომწოდებელი") საქ. კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თანახმად ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს მიაწოდოს საკანცელარიო და სან-ჰიგიენური საქონელი, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ფასების ცხრილის შესაბამისად. (დანაყოფის კოდები მოცემულია ფასების ცხრილში)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.სახელშეკრულებო ღირებულებაა 1798,7 (ათას შვიდასოთხმოცდათვრამეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი.

3. საქონლის ხარისხი

3.1. საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს საქონელი მიაწოდოს 2016 წლის 15 მარტამდე.

4.2. მიწოდების ადგილი: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მის: დ. აღმაშენებლის მოედანი #1;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველისაგან უფლებამოსილ პირთან.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის ვადაში;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მომწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ადგილზე მიაწოდოს მყიდველს საქონელი, შემსყიდველს გადასცეს უფლებრივად და ქონებრივად უნაკლო ნივთი.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოწოდებული საქონელის საფასური.

8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დღისათვის გამყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ფასის 0.1% ოდენობით.

8.3. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარის (მხარეთა) მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედების შედეგად.

9.2. ფორს-მაჟორულია გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არიან გამოწვეული მხარეთა არასწორი მოქმედებების შედეგად) და რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. ისეთი გარემოებების დადგომა შეიძლება გამოწვეული იქნას სტიქიური მოვლენებით: ომით, ეპიდემიით, კარანტინით და ა.შ.

9.3. ფორს-მაჟორის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი მოვალეობების შესრულება დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს, წერილობითი ფორმით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. ლარის კურსის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებულ ევროს კურსთან შედარებით 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან გადასინჯონ მოწოდებული საქონელის რაოდენობა და ფასები, ამავდროულად ხელშეკრულების საერთო ფასი არ უნდა შეიცვალოს 10%-ზე მეტად.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 15 პრილამდე.

11.2. ხელშეკრულება ძალაშია ხელისმოწერის დღიდან.

11.3. ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად.

12. დავის გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

12.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოს წესით.

12.3. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათშორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

13.1. მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის.

14.2. შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

15.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ თუ:

ა) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მომწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	მიმწოდებელი: ი/მ " გივი ლობჯანიძე"
/გიორგი ლობჯანიძე/ ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1 ტელ.: 551 55 04 03 ს/კ 237978275 ანგ. № GE24NB0330100165022 სახელმწიფო ხაზინა ბ.კ TRESGE22	/გივი ლობჯანიძე ქ. ონი. ბრილის ქ. № 4 ტელ.: 599 23 80 99 ს/კ 34001001527 ანგ. № GE71LB01121112014320 ს.ს. "ლიბერთი ბანკი" ბ.კ: LBRTGE22

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ონი

26 თებერვალი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ რომ, საკანცელარიო და სან-ჰიგიენური საქონლის შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი ლობჯანიძე

ი/მ „გივი ლობჯანიძე"

ფასების ცხრილი				
დანაყოფის კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
315	ნათურები წრიული 32ვტ	20	5	100
315	ნათურა 100V	34	0.6	20.4
315	ნათურა 150V	10	1	10
315	ნათურა 200V	26	1.5	39
ჯამი				169.4
312	გადამყვანი სამიანი	12	2	24
312	გამაგრძელებელი ხუთიანი დანცველით 6მ.	19	10	190
312	შტეფსელი ორიანი	11	3	33
ჯამი				247
445	კარების გული	2	5	10
445	კარების საკეტი	7	20	140
445	ნაჯახი	1	20	20
ჯამი				170
228	საკანცელარიო რვეული უჯრებიანი	20	2	40
228	ჟურნალ მთავარი	2	1.5	3
228	მემორიალური ორდერი შეკვრა	2	1.5	3
228	საკანცელარი წიგნი სქელყდიანი თხელი	7	9	63
228	ტუალეტის ქაღალდი	143	0.7	100.1
ჯამი				209.1
392	მაკრატელი	18	1.8	32.4
392	პლასმასის ცოცხი აქანდაზიტ	1	13	13
392	ცოცხი	31	4	124
392	აქანდაზი	24	2	48
392	ტანსაცმლის საკიდი	3	6	18
392	ტუალეტის სარკე	1	12	12
ჯამი				247.4
398	იატაკის ტილო	14	5	70
398	შუშის საწმენდი ტილო	64	2	128
398	სველი სალფეთქი	81	2	162
398	ხელთათმანი რეზინის	11	2	22
398	ჭურჭლის ჟელე ფეირი 1ლ.	1	5	5
398	ავეჯის საწმენდი სითხე	5	4.5	22.5
398	კომპიუტერის საწმენდი სითხე	5	8	40
398	უნიტაზის ჩოთქი	1	5	5
398	თხევადი საპონი ხელის	56	1.8	100.8
398	საპონი ხელის	12	1	12
398	სარეცხი ფხვნილი	9	1.5	13.5
398	მაგიდის ტილო ხარისხიანი (3ც.შეკვრაში)	71	2	142
398	აეროზოლი	11	3	33
ჯამი				755.8
სულ ჯამი				1798.7